სიკვდილი გერმანელ ოკუპანტებს!

მებრძოლი

მუშურ-გლეხური წითელი არმიის

ამიერკავკასიის ფრონტის წითელარმიული გაზეთი
Красноармейская газета Закавказского фронта „Боец РККА“ на грузинском языке

№ 109 (223) | ხუთშაბათი, 5 ოქტომბერი | 1944 წ.

ამხანაგმა სტალინმა მიიღო ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი ბ-ნი ჰარიმანი

1944 წ. 4 ოქტომბერს ამხანაგმა ი. ბ. სტალინმა მიიღო ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი ბ-ნი ჰარიმანი. საბჭოთა კავშირისადმი მიწოდებათა შესახებ პირველი ოქმის ხელმოწერის წლისთავის აღსანიშნავად ბ-ნმა ჰარიმანმა ამხანაგ სტალინს მიართვა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ფ. რუზველტის ბიუსტი.

მიღებას დაესწრო ამხ. მოლოტოვი.

საზაფხულო სწავლების გადამწყვეტი ეტაპი

ასრულებს რა უმაღლესი მთავარსარდლის საბჭოთა კავშირის მარშალ ამხანაგ სტალინის ბრძანებებს, წითელი არმიის ბრწყინვალე გამარჯვებებით აღფრთოვანებული ჩვენი ფრონტის ჯარების პირადი შემადგენლობა სწავლობს სამამულო ომის გამოცდილებას, ნერგავს მას თავის ყოველდღიურ დაძაბულ სწავლებაში, აღწევს საბრძოლო და პოლიტიკური მომზადების ხარისხის ამაღლებას.

ოფიცერთა შემადგენლობის უმრავლესობა და ყველა საფეხურის შტაბები დაეუფლნენ თანამედროვე საერთო-საჯარისო ბრძოლის ორგანიზაციის ხელოვნებასა და ჯარების მართვას, ხოლო მსროლელი ქვეგანაყოფები და ნაწილები ახლა გაცილებით უკეთ მოქმედებენ, მათ აამაღლეს თავისი მანევრირება და ანხორციელებენ მჭიდრო ურთიერთმოქმედებას სხვა გვარეობის ჯარებთან.

ტაქტიკური მეცადინეობანი ქვეგანაყოფების საბრძოლო სროლებით, რომელიც ახლა ტარდება ნაწილებში, გვიჩვენებენ მებრძოლებისა და ოფიცრების მოწიფულობას, როგორც ტაქტიკურ ისე საცეცხლე მომზადებაში.

მაგრამ ჯერ კიდევ ყველა შტაბი როდი ანხორციელებს მიზანსწრაფულ ხელმძღვანელობას საბრძოლო მომზადებაზე, ზოგიერთი მათგანი კი მას გეგმავს ქვეგანაყოფებისა და ნაწილების სპეციფიურ თავისებურებათა გაუთვალისწინებლად.

ცალკეული ოფიცრები, მიუხედავად არასაკმაო მომზადებისა, ცოტას მუშაობენ თავიანთი ცოდნის გაღრმავებისათვის, ამის შედეგად ისინი არაზუსტად აწყობენ სწავლებას თავიანთ ქვეგანაყოფებში. ამიტომაც მებრძოლთა ნაწილი ვერ აღწევს სრულყოფას ცალკეულად მომზადებაში.

ბევრი მათგანი დუნედ აწარმოებს გადარბენას, ისინი საცეცხლე ზღუდეებზე არ აწყობენ ჩასანგრებას, უგულებელჰყოფენ შენიღბვას, არ აწარმოებენ მიზნობრივ სავარჯიშო ცეცხლს, არ დაეუფლებიან სანგრებში, გასასვლელებსა და ტრანშეებში ბრძოლის წარმოების ხელოვნებას.

ცალკეულმა ქვეგანაყოფებმა საომწყობრო მომზადებაში ჯერ კიდევ ვერ მიაღწიეს მებრძოლთა სამწყობრო დისციპლინასა და სამწყობრო ილეთების ზუსტად შესრულებას.

ეს და სხვა მთელი რიგი ნაკლოვანებანი ამცირებენ მებრძოლთა და ქვეგანაყოფთა საბრძოლო მომზადების ხარისხს.

საზაფხულო სწავლების მიმდინარე პერიოდში ჯარების მომზადებისას მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს ბატალიონის, პოლკის, დივიზიის კიდევ უფრო მეტ წვრთნას სამთო პირობებში ბრძოლის ყველა სახეობაში. ამავე დროს განუწყვეტლივ უნდა სწარმოებდეს ათეულის, ოცეულისა და ასეულის მომზადების სრულყოფა. ამისათვის გათვალისწინებული ტაქტიკური და საერთო-საჯარისო სწავლება, და აგრეთვე ტაქტიკური მეცადინეობანი საბრძოლო სროლებით, მოითხოვენ მთელი პირადი შემადგენლობისაგან სერიოზულ ორგანიზებულობას, წესრიგსა და ზუსტ მომზადებას.

ამ სწავლების დროს საჭიროა მიღწეულ იქნას, რომ მსროლელმა ქვეგანაყოფებმა და ნაწილებმა უნარიანად ჩაატარონ ფორსირებული მარშები, ენერგიულად და შეუპოვრად აწარმოონ შეტევა მთიან ადგილმდებარეობის რთულ პირობებში დაბრკოლებათა და წყლის ზღუდეების გადალახვით. ამასთან მათ მტკიცედ უნდა განახორციელონ ურთიერთმოქმედება არტილერიასთან, ტანკებთან და ავიაციასთან, ორგანიზებულად გამაგრდნენ დაკავებულ ზღუდეებზე, ცალკეული რაზმებით გაბედულად შეიჭრნენ მოწინააღმდეგის საბრძოლო რიგებში.

საზაფხულო სწავლების უკანასკნელი ეტაპი უნდა გახდეს მებრძოლთა და ოფიცერთა სრულყოფის სკოლა.

მტერზე გამარჯვება მოითხოვს მებრძოლებისა და ოფიცრებისაგან სამხედრო ცოდნის განუწყვეტელ სრულყოფას და მის მოხერხებულად გამოყენებას საბრძოლო ვითარების რთულ პირობებში. მხოლოდ ყოველმხრივ მომზადებულ ქვეგანაყოფებსა და ნაწილებს შეუძლიათ წარმატებით შეასრულონ საბრძოლო დავალება.

მთებში თანამედროვე საერთო-საჯარისო ბრძოლის წარმოების ხელოვნების სრულყოფილად დაუფლება, მზადყოფნა უმაღლესი მთავარსარდლის საბჭოთა კავშირის მარშალ ამხანაგ სტალინის ბრძანებების წარმატებით შესრულებისათვის, წარმოადგენს ძირითად ამოცანას, რომელიც უნდა გადასწყვიტონ ჯარებმა საზაფხულო სწავლების უკანასკნელ პერიოდში.

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან
4 ოქტომბრის ოპერატიული ცნობა

4 ოქტომბერს იუგოსლავიაში ქალაქ ვრაშაცის დასავლეთით ჩვენმა ჯარებმა დაიკავეს ქალაქები და რკინიგზის სადგურები ალ იბუნარი, ვლადიმიროვაცი, დასახლებული პუნქტები და რკინიგზის სადგურები დებ ელიაჩა, ცრეპაია, ბანატსკოკრალევიჩევო, ბანატსკონოვო-სელო.

რუმინეთის ქალაქ ტურნუ-სევერინის სამხრეთ-დასავლეთით ჩვენი ჯარები ბრძოლებით მიიწევდნენ წინ და იუგოსლავიის ტერიტორიაზე დაიკავეს დასახლებული პუნქტები შტუბიკი, იასენიცა, ტოპლა, ლუგრილ ი, ბორი, ბრესტოვაცი, ნიკოლიჩევო, ზვიზდანი, ველიკ იზვორი, ბრლიანე, ვრატარნიცა და რკინიგზის სადგურები ბრესტოვაცი, ვრატარნიცა, ჩვენი ჯარები შეუერდნენ იუგოსლავიის სახალხო-განმა

(დასასრული მე-4 გვ.)

მედალ „კავკასიის დაცვისათვის“ გადაცემა

სურათზე: 1. ფრონტის ჯარების სარდალი არმიის გენერალი ი. ვ. ტიულენევი ამხ. ა. მგელაძეს აბარებს მედალს „კავკასიის დაცვისათვის“. 2. სხდომის საერთო ხედი, რომელიც მიეძღვნა ამიერ-კავკასიის ფრონტის შტაბის სამმართველოს გენერლებისა და ოფიცრებისათვის მედალ „კავკასიის დაცვისათვის“ გადაცემას.

★ ★ ★

3 ოქტომბერს წითელი არმიის საფრონტო სახლის საკონცერტო დარბაზში მედლები გადაეცა კავკასიისათვის ისტორიულ ბრძოლების მონაწილეთ.

დარბაზი გაჭედილია. აქ თავი მოიყარეს გენერლებმა და ოფიცრებმა— კავკასიისათვის ბრძოლების მონაწილეებმა.

პრეზიდიუმში არიან ამიერ-კავკასიის ფრონტის სარდალი არმიის გენერალი ტიულენევი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ამხ. გ. თ. სტურუა, ამიერ-კავკასიის ფრონტის სამხედრო საბჭოს წევრი გენერალ-მაიორი ეფიმოვი, შტაბის უფროსი გვარდიის გენერალ-ლეიტენანტი ივანოვი, ფრონტის პოლიტსამმართველოს უფროსი გენერალ-მაიორი ემელიანოვი და სხვ.

— დღეს ჩვენ აქ შევიკრიბენით იმისათვის, რომ საბრძოლო მედალი „კავკასიის დაცვისათვის“ გადავცეთ საუკეთესო მეომრებს, რომლებმაც დაიცვეს ამიერ-კავკასიის რესპუბლიკები გერმანელ ფაშისტთა ურდოების შემოსევისაგან, — ამბობს არმიის გენერალი ტიულენევი.—უდიდესი მხედართმთავრის ამხანაგ სტალინის გეგმით ამიერ-კავკასიის ფრონტის ჯარებმა მოაწყეს თავდაცვა, მოჰქანცეს ფაშისტური ურდოები, გამანადგურებელი დარტყმები აგემეს მათ კავკასიის მთების კალთებზე. ამ თავდაცვას ხელმძღვანელობდა ამხანაგი სტალინი. ამ თავდაცვას მძაფრ ბრძოლათა დღეებში ხელმძღვანელობდა დიდი სტალინის მიერ წარმოგზავნილი ამხანაგი ბერია.

ფრონტის ჯარების სარდალმა არმიის გენერალმა ტიულენევმა ამხანაგ სტალინს უსურვა ჯანმრთელობა. მთელი დარბაზი ფეხზე დგება და უდიდესი მხედართმთავრის, ჩვენი უმაღლესი მთავარსარდლის ამხანაგ სტალინის საპატივცემოდ მართავს მხურვალე ოვაციას.

— პირველ მედალს, — ამბობს არმიის გენერალი ტიულენევი, — გადავცემ ქართველი ხალხის სახელოვან შვილს, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ამხანაგ სტურუას.

დარბაზი აპლოდისმენტით ხვდება ამხანაგ სტურუას.

პრეზიდიუმის მაგიდასთან რიგ-რიგად მიდიან ამხ. ხიჟნიაკი, გლუშენკოვი, ემელიანოვი, შუვატოვი, რიმარევი, ბაბინი, რუხაძე და სხვ., რომლებმაც კავკასიის დაცვის დღეებში მთელი თავიანთი ძალ-ღონე, თავიანთი მეომრული ოსტატობა მოახმარეს საძულველ მტერთან ბრძოლის საქმეს.

დაჯილდოებულთა სახელით სიტყვით გამოვიდა ამხ. დემენტიევი. იგი მიმართავს ამიერ-კავკასიის ფრონტის ჯარების სარდალს ამხ. ტიულენევს:

— უმაღლესი მთავარსარდლის საბჭოთა კავშირის მარშალ ამხანაგ სტალინის მითითებითა და თქვენი სარდლობით გავიმარჯვეთ კავკასიის მთების კალთებზე. ვიღებთ რა ამ მაღალ ჯილდოს, — ამბობს ამხ. დემენტიევი, — ჩვენ მოვალე ვართ კიდევ უფრო ავამაღლოთ ფრონტის ჯარების საბრძოლო მომზადების ხარისხი.

ამის შემდეგ სარდალმა გადასცა მედლები ამხ. შესტაკოვს, დუბოვს, მაისაიას, ივანენკოს, რუდნიცკის.

— ნება მომეცით, მე, ძველ ჯარისკაცს, — ამბობს ამხ. შესტაკოვი, — დამსწრეთა სახელით მადლობა გადავუხადო ჩვენს დიდ სამშობლოს, პარტიასა და მთავრობას მაღალი ჯილდოსათვის. ამ საზეიმო დღეს ჩვენ უნდა მოვიგონოთ ის თავდადებული გმირები, რომლებმაც კავკასიის დაცვას შესწირეს თავიანთი სიცოცხლე.

დამსწრენი ფეხზე — დგებიან.

სიტყვით გამოდის ფრონტის პოლიტსამმართველოს აგიტაციისა და პროპაგანდის განყოფილების უფროსი პოლკოვნიკი რუდნიცკი.

— კავკასიის დაცვის მონაწილეთათვის მედლების გადაცემა წარმოადგენს უდიდეს მოვლენას ჩვენი მრავალეროვანი ხალხის ცხოვრებაში, — ამბობს ამხ. რუდნიცკი. — რამ მოგვაგებინა ჩვენ კავკასიისათვის ბრძოლა? ყველა დროის უდიდესი ადამიანის ამხანაგ სტალინის გენიამ და ნებისყოფამ, ჩვენი წითელი არმიის შეუდრეკელმა მამაცობამ, ჩვენი საბჭოთა კავშირის მოძმე ხალხთა შვილებმა და პირველ ყოვლისა დიდმა რუსმა ხალხმა.

— ჩვენი რესპუბლიკების — საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის დაცვა შევძელით დიდი რუსი ხალხის მეთაურობით. დიდება დიდ რუს ხალხს და მის იარაღს! — ამბობს მაიორი განგია.

სიტყვა ეძლევა ამხ. სტურუას.

— მედალი „კავკასიის დაცვისათვის“, — ამბობს იგი, — არის ნიშანი იმისა, რომ ჩვენ დავიცავით კავკასია მტერთან უმძაფრეს ბრძოლაში. სიტყვა მივცეთ ჩვენს პარტიას, ჩვენს დიდ ბელადს ამხანაგ სტალინს, რომ შემდეგშიც ისე ვიბრძოლებთ, როგორც ვიბრძოდით კავკასიის მთების კალთებზე.

დასასრულ გამოვიდა ფრონტის ჯარების სარდალი არმიის გენერალი ტიულენევი.

— ფრონტის სამხედრო საბჭო, — სთქვა სარდალმა, დარწმუნებულია, რომ ეს მედალი, რომელიც ამიერიდან დაამშვენებს თქვენს მკერდს, იქნება თქვენთვის გზის მაჩვენებელი, იგი მოგაგონებთ ისტორიულ ბრძოლათა დღეებს, ჩვენ მკერდზე მედალთან ერთად ყოველთვის გულში ვატარებთ ჩვენი დიდი სტალინის სახეს.

სამშობლოს ჯილდო

მაუდ.-კამვოლის ფაბრიკის მუშათა და ინჟინერ-ტექნიკოსთა საზეიმო სხდომაზე

სამამულო ომის დღეებში თბილისის მაუდ-კამვოლის ფაბრიკის კოლექტივი ერთგული თავდადებით მუშაობს და მაღალხარისხოვან ქსოვილებს აწვდის სამშობლოს, გმირ წითელ არმიას. ჩვენი ფეიქრები პირნათლად იხდიან თავიანთ პატრიოტულ ვალს სამშობლოს, მშობლიური წითელი არმიის წინაშე. მადლიერი სამშობლო ამ სახელოვან ადამიანებს აჯილდოებს მედლებით „კავკასიის დაცვისათვის".

29 სექტემბერს მაუდ-კამვოლის ფაბრიკის საზეიმოდ მორთულ კლუბის დარბაზში თავი მოიყარა ფაბრიკის მთელმა კოლექტივმა. მოვიდნენ პარტიისა და ხელისუფლების ხელმძღვანელი ორგანოთა წარმომადგენლები—ამხ. გ. სტურუა, ს. იმხანოვი, გ. გოჩაშვილი, ე. ლოლაძე, ლ. რუხაძე და სხვ.

დაიწყო საზეიმო სხდომა.

სხდომა გახსნა საფაბრიკო პარტიული ორგანიზაციის მდივანმა ამხ. გ. ჩარაევმა. შემოვიდა წინადადება საპატიო პრეზიდიუმის არჩევის შესახებ. ხანგრძლივი ოვაციებითა და მისასალმებელი შეძახილებით ფაბრიკის მუშებმა, მოსამსახურეებმა და ინჟინერ-ტექნიკოსებმა საპატიო პრეზიდიუმში ერთხმად აირჩიეს დიდი სტალინი, აგრეთვე ამხანაგები მოლოტოვი, ვოროშილოვი, კალინინი, კაგანოვიჩი, ანდრეევი, ჟდანოვი, მიქოიანი, ხრუშჩოვი, ბერია, შვერნიკი, მალენკოვი, შჩერბაკოვი, ვოზნესენსკი, ჩარკვიანი.

დარბაზში დიდხანს გაისმოდა შეძახილები:

— გაუმარჯოს დიდ სტალინს ჰიტლერელ ავაზაკებზე ჩვენი გამარჯვების ორგანიზატორს!

— ვაშა წითელ არმიას!

დაიწყო მედლების გადაცემა. ფაბრიკის სტახანოველებს, ჩვენი საფეიქრო მრეწველობის გამოჩენილ ადამიანებს, კავკასიის დაცვის მონაწილეებს მედლები გადასცა მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. გ. გოჩაშვილმა. მედლები მიიღეს მრავალდაზგოსნებმა, ოსტატებმა, ქვეოსტატებმა, ინჟინერ-ტექნიკოსებმა — ამხ. ლეუდმილა ასათიანმა, ანასტასია ბაბიევამ, ქეთევან ბარამიძემ, ემილე გაბისონიამ, ამილონ გიორგობიანმა, პეტრე გოგიაშვილმა, ივანე ჯავახიშვილმა, ფაბრიკის დირექტორმა სპირიდონ გიგაურმა, მთავარმა ინჟინერმა სილე იაკობაშვილმა, მოწინავე საამქროს უფროსმა ინჟინერმა ვასილ ჭანიშვილმა და სხვ., სულ 91 კაცმა.

დაჯილდოებულებს სიტყვით მიმართა და მედლების „კავკასიის დაცვისათვის" მიღება მიულოცა ამხ. გ. გოჩაშვილმა.

დაჯილდოებულთა სახელით სიტყვები წარმოსთქვეს სტახანოველმა ე. ჯავახიშვილმა და ფაბრიკის დირექტორმა ამხ. ს. გიგაურმა.

— სამშობლოსაგან მადლობის ნიშნად მიღებული ეს მედლები, — სთქვეს მათ, — გვავალებს კიდევ უფრო მაღალნაყოფიერად ვიმუშაოთ და მზარდი დახმარება გავუწიოთ წითელ არმიას ჰიტლერელი ავაზაკების საბოლოო განადგურებაში. ფაბრიკის კოლექტივი სიტყვას იძლევა, რომ იგი ღირსეულად შეასრულებს ამ დიდ პატრიოტულ ამოცანას.

საზეიმო სხდომის შემდეგ გაიმართა კონცერტი.

„ჩვენი გმირები"



გაზეთ „კომუნისტის" რედაქციამ გამოსცა წიგნი ქართველი ხალხის სახელოვანი შვილების საბჭოთა კავშირის გმირების შესახებ — „ჩვენი გმირები". წიგნში შეტანილია ნარკვევები როდიონ ქორქიასი — საბჭოთა კავშირის გმირების არკადი ვევენიძის, მიხეილ გახოკიძისა და ნიკოლოზ ბერიას შესახებ; სოლომონ თავაძის—საბჭოთა კავშირის გმირების ნოე ადამიას, ვლადიმერ ჯანჯღავას, მიხეილ დოხშაძის და ნიკოლოზ გოგაჩოშვილის შესახებ; ილო მოსაშვილის — საბჭოთა კავშირის გმირების ალექსი პარმისაშვილისა და ვლადიმერ ლურსმანაშვილის შესახებ; სიმონ წვერავას — საბჭოთა კავშირის გმირების ქიჭიკო შენგელაიას, სერგო კობლოვის, ვლადიმერ ბეროშვილისა და კონსტანტინე ტყაბლაძის შესახებ; ანდრო თევზაძის — საბჭოთა კავშირის გმირების გიორგი გოცირიძის, პლატონ წიქარიძის და გლადიმერ გუბელაძის შესახებ და პოლიო აბრამიასი — საბჭოთა კავშირის გმირების ირაკლი ცაციშვილის, გრიგოლ ბუაჩიძის, ვასილ ჩოჩიევის და გიორგი ბილანიშვილის შესახებ.

წიგნი დამშვენებულია ორ ფერში, შეიცავს 72 გვერდს და ღირს 10 მანეთად.

სერჟანტებთან ნაყოფიერი მეცადინეობის შედეგად

უფროსი ლეიტენანტ კობარევის ქვედანაყოფში კარგად არის დაყენებული სერჟანტებთან მუშაობა. სერჟანტთა შემადგენლობისათვის სისტემატურად ეწყობა ლექციათ-საუბრები საბრძოლო მომზადების საკითხებზე. ყოველი ორშაბათი ქვედანაყოფში გამოცხადებულია სერჟანტთა დღედ. ამ დღეს ისინი ველზე პრაქტიკულად ვარჯიშობენ ტაქტიკურ, საცეცხლე და ამწყობრო მომზადებაში. მეცადინეობას ხელმძღვანელობენ ქვედანაყოფის მოწინავე ოფიცრები — ბელოვი, ლომაროვი, პოვოლი და სხვები. ისინი სერჟანტებს ჯერ თეორიულად უხსნიან ამა თუ იმ ამოცანას, შემდეგ კი რამდენიმეჯერ პრაქტიკულად ავარჯიშებენ მათ.

მეცადინეობისას მთავარი ყურადღება ექცევა სერჟანტებში ამოცანის დამოუკიდებლად გადაწყვეტის ჩვევების გამომუშავებას. ტაქტიკური მეცადინეობა [illegible] და [illegible] ვითარებასთან მიახლოებული.

ამას წინათ ჩატარდა სერჟანტთა [illegible] მეცადინეობა. აქ სერჟანტებმა [illegible], კოშევნიკოვმა, ნესმართ, [illegible], სერგეევმა, პოპოვმა და სხვ. ბრწყინვალე მონაცემები გამოამჟღავნეს. მათ ყველა დისციპლინაში ფრიადი შეფასება მიიღეს.

სერჟანტებთან სისტემატური მეცადინეობამ სათანადო ნაყოფი გამოიღო. ასე, მაგალითად, სერჟანტ პოლისუკის ათეული წინათ ჩამორჩენილად ითვლებოდა. ეს იმით აიხსნებოდა, რომ თვით ათეულის მეთაურს აკლდა სათანადო მომზადება. როდესაც ამხ. პოლისუკმა ჯეროვანი წვრთნა მიიღო, ათეულის პირადი შემადგენლობის აღზრდის საქმეც გაუმჯობესდა. ახლა ეს ათეული ერთ-ერთი მოწინავეთაგანია მთელს ქვედანაყოფში. იგი ფრიადოსნებისაგან შედგება.

სერჟანტი ალ. ბაბუა

ყველასათვის საყვარელი ადამიანი

ირაკლი ლომაშვილი ჩვენს ქვედანაყოფში ყველასათვის ნაცნობი და საყვარელი ადამიანია. ის გაზეთებისა და წერილების დამტარებელია. ხამდვილი გატაცებითა და სიყვარულით ასრულებს იგი ამ საქმეს.

ყოველდღე, დანიშნულ საათზე იგი საველე ფოსტაში მიემგზავრება და თან მიაქვს წერილები. იქიდან კი ჟურნალ-გაზეთებითა და წერილებით დატვირთული ბრუნდება. არ ყოფილა შემთხვევა, რომ მას გაზეთი ხელისმომწერისთვის თავის დროზე არ ჩაებარებინოს.

— გაზეთს მაშინ აქვს ფასი, როცა იგი ახალია, როცა იგი მკითხველს მისთვის საინტერესო და ცოცხალ ამბებზე დროულად ესაუბრება. ერთი კვირის გაზეთი ვის რათ სჭირდება, — ხშირად იტყვის ხოლმე იგი, პირად საქმეს გადასდებს და სასწრაფოდ მიუტანს გაზეთებს ხელისმომწერლებს.

ამხ. ლომაშვილმა იცის წერილის ძალა.

— ჯარისკაცისათვის წერილი ნამდვილი დღესასწაულია. წერილი მას მშობელი დედის, მამის ან შვილის ენით ესაუბრება. მოდი და ნუ მოუტან წითელარმიელს თავის დროზე წერილს, — ამბობს ამხ. ლომაშვილი. იგი საგულდაგულოდ ინახავს წერილებს ჩანთაში და მანამ ვერ მშვიდდება, ვიდრე ადრესატს არ ჩააბარებს.

ქვედანაყოფის მებრძოლებმა, სერჟანტებმა და ოფიცრებმა იციან ლომაშვილის ხასიათი, მისი კეთილსინდისიერება. ერთხელ არ თქმულა მის მიმართ საყვედური.

შემოდგამს ამხ. ლომაშვილი ფეხს ქვედანაყოფში და სწრაფად დაირხევა ხმა: აბა, ლომაშვილი მოდის დატვირთულიო. მებრძოლები მოუთმენლად მოელიან ახალ ჟურნალ-გაზეთებს და წერილებს ოჯახისაგან.

ამხ. ლომაშვილი მონაწილეობდა კავკასიის გმირულ დაცვაში. იგი ფრონტზეც აგრეთვე დაუზარელი იყო. ცეცხლის წვიმაში წინა ხაზზე დადიოდა და წერილთან ერთად სიხარული შეჰქონდა თვითეულ სანგარში.

ზემდეგი ს. რუხაძე

ქმედითი კედლის გაზეთი

ქვედანაყოფის საბრძოლო ცხოვრებით სუნთქავს ჩვენი კედლის გაზეთი „მეავტომატე". მისი ყოველი ახალი ნომრის გამოსვლას მებრძოლები მოუთმენლად ელიან.

რით დაიმსახურა კედლის გაზეთმა მებრძოლთა ასეთი ყურადღება? პირველ ყოვლისა იმით, რომ იგი ეხმიანება მებრძოლთა ყველა საჭირბოროტო საკითხებს, სისტემატურად უწევს მოწინავე მებრძოლების საბრძოლო გამოცდილებათა პროპაგანდას, დროულად ამხელს ამა თუ იმ უბანზე არსებულ ნაკლოვანებებს და აქტიურად იბრძვის მათი გამოსწორებისათვის.

გაზეთის რედაქტორი უფროსი სერჟანტი ამხ. გ. ჯანაშია წინასწარ ადგენს მორიგი ნომრის გეგმას, სამუშაოს ანაწილებს სარედაქციო კოლეგიის წევრთა შორის, რჩევა-დარიგებას აძლევს სამხკორებს. ყოველივე ამის შედეგად გაზეთი მთელი ქვედანაყოფის კოლექტიური შრომის ნაყოფს წარმოადგენს.

ენის სიწმინდე, აზრის ლაკონიური გამოთქმა, მოკლე და მკვეთი კორესპონდენციები — აი რით ხასიათდება გაზეთი. მარტო მე-13 ნომერში წარმოდგენილია მე-9 მოკლე და შინაარსიანი წერილი. ამ ნომერში მოთავსებულმა წერილებმა „ავიმაღლოთ კომკავშირული აქტივის იდეური დონე" და „მტკიცედ შევასრულოთ სამხედრო ფიცი", რომლებიც ქვედანაყოფის ცხოვრებიდან აღებულ ფაქტიურ მასალებზე არიან აგებული, მებრძოლთა შორის დიდი გამოხმაურება ჰპოვეს.

გაზეთის მუშაობას ხელმძღვანელობს და ყოველდღიურ დახმარებას უწევს ქვედანაყოფის პარტიული ორგანიზაცია. იგი თავის კრებებზე სისტემატურად ისმენს რედაქტორის ინფორმაციას. გარდა ამისა, პარტორგი პირადად ეცნობა და ამტკიცებს გაზეთის სამუშაო გეგმას.

სერჟანტი ზ. მირაშვილი.

კავკასიისათვის ბრძოლების ისტორიიდან

ელხოტოვოს ჭიშკართან

მე ბელორუსი ვარ და კავკასიას მხოლოდ პუშკინის, ლერმონტოვისა და ტოლსტოის წიგნებიდან ვიცნობდი. მე შემიყვარდა ეს მარად აყვავებული მხარე და კავკასიაში მოგზაურობა ჩემთვის სანატრელ ოცნებად გადაიქცა.

დაბოლოსასრულდა ჩემი ოცნება— მე კავკასიაში ვიმყოფები. მაგრამ არა როგორც ტურისტი, არამედ როგორც მეომარი, რომელიც მოწოდებულია საკუთარი მკერდით დაიცვას ეს მშვენიერი ქვეყანა.

1942 წლის 20 სექტემბერს ჩვენ მოვედით ჩრდილოეთ კავკასიაში. ჩვენს ბატალიონს ნაბრძანები ჰქონდა გაემაგრებინა კავკავის ჭიშკარი — სადგური ელხოტოვო. თავდაცვის საერთო სისტემაში ჩვენ ერთ-ერთი ხელსაყრელი ზღუდე დავიკავეთ. ჩვენს მარჯვნივ იყო ილარიონოვკა, მარცხნივ კი პროხლადნაია — ბესლანის რკინიგზა.

ხუთი დღის განმავლობაში ჩვენ საიმედოდ მოვემზადეთ მტრის შესახვედრად. კაპიტან ზაბოლოტნის არტილერისტებმა დაიკავეს საცეცხლე პოზიცია და თავიანთი ცეცხლით იფარავდნენ ჩვენი თავდაცვის რაიონის ყველა მხარეს. ლეიტენანტ იბრაგიმოვს დამატებით მიეცა 82 მმ ნაღმსატყორცნის ასეული, ლეიტენანტ კოზელსკის ასეულს კი — 45 მმ ზარბაზნის ორი ბატარეა, მეტყვიამფრქვევეთა ოცეული, ტანკსაწინააღმდეგო თოფის ოცეული და მეავტომატეთა ორი ოცეული, გამაძლიერებელი არტილერიის მთელი რაოდენობა, 45 მმ ზარბაზნების ოთხი ბატარეის გარდა, რომელიც ბატალიონის მეთაურის განკარგულებაში იმყოფებოდა.

ამრიგად, ყველაფერი მზად იყო მოწინააღმდეგის შესახვედრად. და, აი, 25 სექტემბერს გერმანელებმა დაიწყეს ჩვენს საბრძოლო რიგებთან მიახლოება. მტერი იდგა ელხოტოვოს ჭიშკარის მისადგომებთან.

ჩვენი თავდაცვის წინააღმდეგ ფაშისტთა ტანკების ჯგუფი, რომელიც საბრძოლო წყებად გაიშალა, ნელნელა უახლოვდებოდა სიმინდის ყანებით დაფარულ ველს. გერმანელები ტანკებს უკან მისდევდნენ. ისინი წელგამართულნი მოდიოდნენ, ფიქრობდნენ, რომ შეიჭრებოდნენ სადგურ ელხოტოვოში და ხელთ იგდებდნენ საკომანდო სიმაღლეს, რომელსაც მეტად დიდი ტაქტიკური მნიშვნელობა ჰქონდა. მაგრამ ფაშისტებმა ვერ შესძლეს ამის განხორციელება. ჩვენი მებრძოლები მზად იყვნენ მოეგერიებინათ ტანკებისა და ქვეითი ჯარის შემოტევა. სანგრიდან სანგარში გადადიოდა ბრძანება:

— მოემზადე იერიშისათვის!

— ფრონტის მთელ ხაზზე ერთი პასუხი გაისმოდა:

— ყველაფერი მზად არის იერიშისათვის!

ამავე დროს გერმანელთა ტანკები და ქვეითი ჯარი მივიდნენ საიერიშო ზღუდესთან და შეჩერდნენ ცეცხლის დასაშენად. ჩვენს არტილერიას არ ეძინა. არტილერიამ და ჩვენმა მხარდამჭერმა გვარდიელმა ნაღმტყორცნელებმა ტანკებსა და ქვეით ჯარს ჯოჯოხეთური ცეცხლი დაუშინეს. ბატალიონის წინ მთელს ფრონტზე ჭურვებისა და ნაღმების აფეთქებით ცეცხლის ტყე ვარვარებდა. ჰორიზონტი დაფარული იყო შავი კვამლით. გვიან საღამომდე გრძელდებოდა ცხარე ბრძოლა. უკვე იწვოდა ჩვენი სახელოვანი გვარდიელი არტილერისტების მიერ აფეთქებული ფაშისტთა 25 ტანკი. მეომრები იბრძოდნენ უმაგალითო გმირობითა და გამბედაობით. საბრძოლო დაცვაში იდგა ლეიტენანტ პოგორელოვის ოცეული, რომელსაც ეხმარებოდა უფროსი ლეიტენანტი ნოვიკოვი 45 მმ ზარბაზნებით და უფროსი ლეიტენანტი მოროზოვი თავისი ჯავშანსატვირთველებით. ამ მცირერიცხოვანმა, მაგრამ ძლიერმა და ნებისყოფიანმა გარნიზონმა უკუაგდო გერმანელთა რამდენიმე იერიში. გერმანელებმა ჩვენი საბრძოლო თავდაცვის წინააღმდეგ გადმოისროლეს ხუთი ტანკი და ერთ ბატალიონამდე ქვეითი ჯარი. ოსტატურად შენიღბულმა ჩვენმა მებრძოლებმა მტერი 200 მეტრზე მოუშვეს და ყველა სახის იარაღის გამანადგურებელი ცეცხლი დაუშინეს. კვლავ კვამლში გაეხვია მტრის სამი ტანკი. ორი მათგანი არტილერისტებმა დაიზიანეს, ერთი კი ჯავშანსატვირთველებმა. ამ ბრძოლაში წითელარმიელმა არაკუშკინმა თავისი ტყვიამფრქვევით 60 ჰიტლერელი მოსპო.

ამ დღეს მოწინააღმდეგე სამჯერ გადმოვიდა იერიშზე და სამჯერვე და-

როგორ ვეხმარები ჩამორჩენილებს

კურსანტი დიმიტრი სავენკო ყველაზე მოწინავე მებრძოლია ჩვენს ათეულში. მან ჩინებულად იცის დაზგის ტყვიამფრქვევის მატერიალური ნაწილი, ისვრის ზუსტად. სწრაფად და სწორად განსაზღვრავს ხოლმე მანძილს მიზნამდე. დისციპლინიანი და წესიერია. აი ამ ცოტა ხნის წინათ ეს კურსანტი ჩამორჩენილად ითვლებოდა.

რა მოხდა? ჩამორჩენილი კურსანტი როგორ გახდა მოწინავე?

განსაკუთრებული არაფერი მომხდარა. სავენკომ ამ წარმატებას მიაღწია გამოცდილი ვარჯიშით, გაიმარჯვა მისმა ჯარისკაცურმა შეუპოვრობამ. მე მეურვეობა არ გამიწევია მისთვის, მხოლოდ ვასწავლიდი, ვუჩვენებდი და მოვითხოვდი მისგან დასწეოდა თავის ამხანაგებს სწავლაში. სავენკო ერთი და იგივე ილეთს აკეთებდა მანამდე, ვიდრე სრულყოფილად არ შეისწავლიდა. მას არც დახმარება დასჭირვებია. ტყვიამფრქვევის დაშლა-აწყობა დამოუკიდებლად, სხვის დაუხმარებლად შეისწავლა.

მაგრამ ზოგჯერ მებრძოლს არ შეუძლია იმოქმედოს ჩემს დაუხმარებლად. მე მყავს კურსანტი ფედორ ზადონინოვი. იგი ყოველმხრივ კარგი მებრძოლია, მაგრამ პირველ ხანებში ვერ შესძლო შაშხანის სწორად დამიზნება. ერთი შეხედვით ეს რთული საქმე არ არის, ზადონინოვი კი ამას ვერ აკეთებდა. რატომ? იმიტომ, რომ სწორად არ აყენებდა კორას. მე ვიცოდი, რომ თუ არ დავეხმარები, არ ავუხსნი, იგი მას ვერასოდეს ვერ შეისწავლის.

მომიხდა უბრალო მეთოდის გამოყენება: სამიზნე ჭრილში ჩავდევი ჩალა. ამით მებრძოლს გაუადვილდა ორიენტირება და სამიზნის დაყენება. იგი ზუსტად ხედავდა კორას. და როდესაც ჩალა ავიღე, მებრძოლმა თავისი შეცდომა იოლად შენიშნა. ეს ვარჯიში დიდხანს არ გაგრძელებულა. მალე ზადონინოვი მიუხვდა „საიდუმლოებას“. ამას წინათ შესამოწმებელი სროლის დროს იგი მოწინავეებზე ცუდად როდი ისროდა.

ათეულის მეთაურისათვის სასიამოვნოა ხედავდეს თავისი მებრძოლის ზრდას. ამაშია მთელი ჩვენი მუშაობის აზრი. ამიტომ ვცდილობ თვალ-ყური ვადევნო ჩამორჩენილებს, დავეხმარო მათ, რათა ჩადგნენ მოწინავეთა რიგებში.

ამ მხრივ მისაბაძია კურსანტი კონდრატ დონცოვის მაგალითი. იგი შეხედულობით ყოჩაღი ახალგაზრდაა, საქმით კი დუნე აღმოჩნდა. მან ტყვიამფრქვევი შეიყვარა. მე მჯეროდა, რომ დაეუფლებოდა ამ იარაღს და სხვაზე ნაკლებად არც ის ისროდა. მაგრამ დრო გადიოდა, დონცოვს კი ტყვიამფრქვევის სწრაფად გატენვა არ შეეძლო. იგი ჩქარობდა. საერთოდ ტყვიამფრქვევი სწრაფად უნდა გასტენო. ეს ყოველმა მებრძოლმა იცის. მაგრამ დონცოვი მეტისმეტად ჩქარობდა და ამით მთელ საქმეს აფუჭებდა.

მაგალითად, მე მოვითხოვდი გაეტენა ტყვიამფრქვევი ავტომატური სროლისათვის, ის კი ჩქარობდა და გასტენიდა ხოლმე ცალკეული სროლისათვის. როდესაც საჭირო იყო გაეტენა ცალკეული სროლისათვის, იგი აწარმოებდა გატენას ავტომატური სროლისათვის. ძლიერ ეცადა, მაგრამ თავი ვერ დააღწია ამ შეცდომებს.

მაშინ მე სხვაგვარად მივუდექი მას: ვაიძულებდი გაეტენა ტყვიამფრქვევი ძლიერ ნელა. ამნაირად მან ათჯერ გასტენა იგი. შემდეგ კი თანდათანობით ააჩქარა მუშაობის ტემპი. ათი დღის განმავლობაში მებრძოლი ტყვიამფრქვევის გატენის ნელი ტემპიდან ჩქარ ტემპზე გადავიდა.

ახლა დონცოვი ჩამორჩენილად აღარ ითვლება. მას შეუძლია სწრაფად და სწორად გასტენოს ტყვიამფრქვევი.

სწავლის პროცესში ასე ვეხმარები ჩემი ათეულის ჩამორჩენილ მებრძოლებს, რათა გავუსწორო ისინი მოწინავეებს.

უფროსი სერჟანტი ა. კიდალოვი.

საბჭოთა კავშირის გმირი ლიუდმილა პავლიჩენკო ესტუმრა ოდესის მშრომელთ. ამ ქალაქის დაცვისათვის ბრძოლებში პავლიჩენკომ დაიწყო ჰიტლერელ დამპყრობლებზე შურისძიების თავისი ანგარიში. სურათზე: საბჭოთა კავშირის გმირი ლ. პავლიჩენკო ოდესის ერთ-ერთ კოლმეურნეობაში.

ფოტო ვ. ლოსინისა (სადუსის ფოტოქრონიკა).

გამარჯვებული კვლავ შენთან მოვალ

გაბოროტებით სისინებს ქარი,
ბინდიან ცაზე ძრწიან ღრუბლები,
ჩემი ფიქრი კი კვლავ შენთან არი,
ოცნებით შენვე გესაუბრები.

არ მავიწყდება მე შენი სახე
გულში ჩამჯდარი, გაურიყავი.
აი, გუშინდამ სიზმარშიც გნახე,
ძვირფასო, თითქო შენთან ვიყავი.

ო, ტკბილი იყო შეხვედრა ჩვენი
და აღტაცებით ხმგერდენ გულები,
დაგვკაშკაშებდენ სინათლის მჩენი,
ვარსკვლავნი — ცაზე დაკიდულები.

გამომეღვიძა. გეძებდი ისევ,
მოგეჩვენაო — მომძახდა ქარი.
და დღესაც ნეტარ ოცნებას მიხევს,
გუშინდელ ღამის ტკბილი სიზმარი.

ფითრდება ღამე, ბორგავს და
გმინავს,
უკვე თენდება, ჩნდება ნათელი.
მე ისევ ვფხიზლობ, მაინც არ
მძინავს,
გარიჟრაჟს ვხვდები ღამენათევი.

სადაა ბრძოლა კვლავ დაიწყება,
ცა გაწითლდება ცეცხლის კაშხალით
შეუბრალებლად მტრის რიგს და
წყებას
დავცხებ ხელახლა ჩემი შაშხანით.

მალე ჩადგება ქარიშხლის ქროლა,
გადმოვიქროლებ ცხრა ზღვას, ცხრა
მხარეს.
ჩემო ძვირფასო, კვლავ შენთან
მოვალ
და გამარჯვებას კოცნით გახარებ.

ზემდეგი შ. ერისთავი.

ბალტიისპირეთის მფრინავები

გაზეთ „პრავდაში“ მოთავსებულია კორესპონდენცია მოქმედი არმიიდან ბალტიისპირეთის მფრინავების შესახებ.

ბალტიისპირეთის 1-ლი ფრონტის ერთ-ერთ უბანზე რვა „ილიუშინისაგან“ შემდგარი თვითმფრინავთა ჯგუფი აწარმოებდა ბრძოლით დაზვერვას ბარბელესის, ვეცმუიჟის, ოზოლციემსის რაიონში—რიგის სამხრეთით.

რადიოსადგურმა თვითმფრინავებს გადასცა ბრძანება: „ერიაში მიიტანეთ მტრის 200 ავტომანქანისა და ტანკისაგან შემდგარ კოლონაზე“.

მოიერიშეთა მოქმედებას იფარავდა „იაკოვლევების“ ჯგუფი გვარდიის მაიორ კოლამეროვის მეთაურობით.

ბრძოლის ადგილას გამოჩნდა 18 „ფოკე-ვულფი“, რომლებსაც უნდოდათ ერიაში მოეტაცათ ჩვენი მოიერიშეები. მაგრამ ჩვენი ავიაგამანადგურებლების მეწინავე ჯგუფმა დროზე გაუგო განზრახვა „ფოკე-ვულფებს“. მტრის ორმაგი სჭარბის მიუხედავად, ჩვენმა ავიაგამანადგურებლებმა ერიაში მიიტანეს მათზე. ამასთან ჯგუფის მეწინავემ გვარდიის მაიორმა კოლამეროვმა პირადად ჩამოაგდო ორი „ფოკე-ვულფი“, უფროსმა ლეიტენანტმა კისლენკომ ჩამოაგდო მტრის სამი თვითმფრინავი, ხოლო უმცროსმა ლეიტენანტმა სიკრეიმ—მტრის ერთი ავიაგამანადგურებელი.

უმოქმედო კომორგი

(ჩვენი კორესპონდენტისაგან)

უფროს ლეიტენანტ ხლოპონევის ქვეგანაყოფის პირადი შემადგენლობის უმრავლესობა ახალგაზრდობისაგან შესდგება. მათ ცოდნის მიღების დიდი სურვილი აქვთ, მაგრამ ყველა მათგანს როდი შეუძლია დამოუკიდებელი მეცადინეობა თავისთავზე. ამის შედეგია ის, რომ კომკავშირელები — შენგელია, ქუმსიშვილი, იაკოვლევი და სხვ. ვერ ერკვევიან მიმდინარე პოლიტიკის ელემენტარულ საკითხებშიც კი.

ქვეგანაყოფის კომკავშირული ორგანიზაცია (კომორგი უფროსი სერჟანტი ჩხაიძე) ერთხელაც არ დაინტერესებულა ახალგაზრდობის პოლიტიკური აღზრდის საკითხით, საკმარისია აღინიშნოს, რომ 3 თვის განმავლობაში ქვეგანაყოფში არ მოუწვევიათ კომკავშირული კრება. კომორგს ამხ. ჩხაიძეს თავის ირგვლივ შემოკრებილი არა ჰყავს კომკავშირული აქტივი, მან არც კი იცის კომკავშირლები რა სახის ლიტერატურას კითხულობენ, როგორ მუშაობენ თავიანთ იდეური დონის ამაღლებისათვის.

ასეთი მდგომარეობა შეუწყნარებელია. ქვეგანაყოფის კომკავშირულმა ორგანიზაციამ უნდა გარდაქმნას თავისი მუშაობა, მან უმოკლეს ვადაში უნდა მიაღწიოს გარდატეხას ახალგაზრდობის პოლიტიკური აღზრდის საქმეში.

[illegible] დანაკარგის შემდეგ, გამოსავალ ზღუდეზე გაბრუნდა. ბრძოლა არც დაღამებისას შეწყვეტილა. მთელი ღამის განმავლობაში კოცონებივით ვიზგიზებდნენ დამწვარი ტანკები.

27 სექტემბერს ნისლიანი დილა გათენდა. ეს დღეც წინა დღესავით ფიცხელი ბრძოლების დღე იყო. გერმანელებმა ბრძოლაში ჩააბეს ახალი რეზერვები. ამ დღეს ჩვენ მოვაგერიეთ ექვსი გააფთრებული იერიში.

ბრძოლებში განსაკუთრებით თავი ისახელეს უფროს ლეიტენანტ ბუროვის ნაღმმტყორცნელებმა. ათი დღის განმავლობაში მათ მრავალი ასეული ჰიტლერელი მოსპეს. თვით უფროს ლეიტენანტ ბუროვს, რომლის მკერდს საბრძოლო ორდენები ამშვენებენ, ქვეითი ჯარი იერიშზე მიჰყავდა. ნაღმმტყორცნელები კი თავიანთი ცეცხლით მხარს უჭერდნენ მამაც მეთაურს.

გმირულად იბრძოდნენ ლეიტენანტ სივაკოვის მეტყვიამფრქვევენი. მარტო რიგითმა მებრძოლმა პეშკოვმა, რომელიც მოხერხებულად ინიღბებოდა და იცვლიდა საცეცხლე პოზიციებს, ხელის ტყვიამფრქვევით მოსპო მოწინააღმდეგის ერთი ასეულამდე. ასევე მოხერხებულად და მამაცურად მოქმედებდა რიგითი მებრძოლი მეტყვიამფრქვევე არავუშკინი. გერმანელები ძალიან ცდილობდნენ ჩაეხშოთ მისი ტყვიამფრქვევი, მაგრამ ეს მათ ვერ შესძლეს.

გმირულად მოქმედებდნენ ლეიტენანტ ლაგუტინის მზვერავები. ბრძოლის დროს ისინი ერთი წუთითაც არა სწყვეტდნენ აქტიურ დაზვერვას, ეხმარებოდნენ მეთაურს მტრის მზაკვრული ზრახვების გამოცნობაში. აი, ერთ-ერთი ეპიზოდი ლეიტენანტ ლაგუტინის მზვერავთა საბრძოლო საქმეებიდან. მებრძოლთა მცირე ჯგუფით იგი ღამით შეიპარა მტრის განლაგებაში, მოსპო ხუთი ფაშისტი, ხელთ იგდო რაცია. ტყვედ წამოიყვანა გერმანელი მზვერავი არტილერისტი, რომელსაც აღმოაჩნდა რუკა. ამ რუკაზე აღნიშნული იყო მოწინააღმდეგის ბატარეის განლაგება. საჭირო იყო სწორედ ეს ძვირფასი ცნობები. ჩვენმა არტილერისტებმა ისარგებლეს ამ ცნობებით და მოხერხებულად ჩაახშეს გერმანელთა ბატარეები.

ჩინებულად მოქმედებდნენ უფროსი ლეიტენანტ ხომიაკოვის არტილერისტებიც. რიგითმა მებრძოლმა დორონინმა უმაგალითო გმირობისა და მამაცობის ნიმუშები გვიჩვენა. მან მოწინააღმდეგის ცეცხლის ქვეშ დაამყარა კავშირი.

ელხოტოვის ჭიშკართან ბრძოლების დროს ფასდაუდებელი დახმარება გამიწია მაიორ დიატლენკოს გვარდიელმა ნაღმმტყორცნელებმა. ბრძოლის კრიტიკულ წუთებში მე ყოველთვის ვთხოვდი მათ დახმარებისათვის. ნაღმსატყორცნის ბატარეები არაჩვეულებრივი სიზუსტით ისროდნენ. თავდაცვის ახლო მისადგომებზე ყოველდღე იწვოდა ჩვენი ნაღმმტყორცნელების მიერ განადგურებული ფაშისტთა ათობით ტანკი.

მთელი ჩემი სიცოცხლის განმავლობაში მადლობის გრძნობით მოვიხსენიებ იმ ჯავშნიან მატარებლებს, რომლებიც იცავდნენ ჩვენს საბრძოლო უბანს. როდესაც ჩვენ საფრთხე გველოდა, გამოვუძახებდი ხოლმე ჯავშნიან მატარებლებს, რომლებიც ყოველთვის ჩვენთან ახლოს მოფარებულ ადგილას იდგნენ. 10-15 წუთის შემდეგ, ორი, ხანდახან კი სამი ჯავშნიანი მატარებელი (ჩვენ მაშინ მათ პირობითად „ივან პეტროვიჩსა“ და „ფედორ პავლოვიჩს“ ვეძახდით) უშიშრად მოემართებოდა ჩვენი საბრძოლო რიგებისაკენ და ქვემეხების პირდაპირი დამიზნებით სპობდა ფაშისტებს.

ამრიგად, ათი დღის განმავლობაში დღედაღამე განუწყვეტლივ ვიბრძოდით. გერმანელთა არმადა შეჩერებულ იქნა ელხოტოვის ჭიშკართან.

მალე ჩვენ დასასვენებლად წავედით. რამდენიმე დღის შემდეგ ელხოტოვის ბრძოლის 48 მონაწილის მკერდს ორდენები და მედლები ამშვენებდნენ. მათ შორის რიგითი მებრძოლები გოლუბენკო და პეშკოვი დაჯილდოებულ იქნენ ლენინის ორდენით, ხოლო ზემდეგი ნედიუჟევი, რიგითი მებრძოლი არავუშკინი, ლეიტენანტი ლაგუტინი და მრავალი სხვა — წითელი დროშის ორდენით.

დიდხანს არ დაგვისვენია. მალე მივიღეთ შევსება და ახლა სხვა უბანზე გაგვგზავნეს. ამ დროისათვის მტრის შემოტევა საბოლოოდ იქნა შეჩერებული. ჩვენ ვემზადებოდით ახალ გადამწყვეტ ბრძოლებისათვის და აი 1942 წლის 4 დეკემბერს გადავედით შეტევაზე. ჩვენმა ბატალიონმა ნიკოლაევსკაია ზმეისკაიას რაიონში თერგი გადალახა: აქედან დავიწყეთ ჩვენ გადამწყვეტი შეტევა, გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა განდევნა ჩვენი წმინდა მიწა-წყლიდან.

ორდენოსანი კაპიტანი
ი. ლიშანკოვი

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან
4 ოქტომბრის ოპერატიული ცნობა
(დასასრული)

თავისუფლებელი არმიის ნაწილებს და მათთან ერთად ეწეოდნენ ბრძოლებს გერმანელთა ჯარების მოსასპობად ნოვოტინის დასავლეთით მდებარე რაიონში.

ფრონტის სხვა უბნებზე მზვერავები მოქმედებდნენ და მთელ რიგ პუნქტებში ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლები სწარმოებდა.

3 ოქტომბერს საჰაერო ბრძოლებში ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 5 თვითმფრინავი.

* *

იუგოსლავიის ტერიტორიაზე ქალაქ ვრშაცის დასავლეთით ჩვენი ჯარები შეტევას განაგრძობდნენ. ნ შენაერთის ნაწილებმა დაიკავეს ქალაქები და რკინიგზის სადგურები ალიბუნარი და ვლადიმიროვაცი. ჩვენმა ქვეითებმა წარმატება განავითარეს, სწრაფად წაიწიეს წინ და დაიკავეს დასახლებული პუნქტი ხანატსკოერალევინოვო, რომელიც 24 კილომეტრზე მდებარეობს ქალაქ ბელგრადის ჩრდილო-აღმოსავლეთით. ტყვედ წამოყვანილია 350 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. პეტროვგრადის სადგურზე გერმანელებს წაართვეს 200-ზე მეტი ვაგონი სხვადასხვა სამხედრო ტვირთიანად.

* * *

რუმინეთის ქალაქ ტურნუ-სევერინის სამხრეთ-დასავლეთით მტერი თავდაცვისათვის ხელსაყრელ ზღუდეებს ეყრდნობოდა და შეუპოვარ წინააღმდეგობას გვიწევდა. დღეს ჩვენი ჯარები ქალაქ ნეგოტინის დასავლეთით შეუერთდნენ იუგოსლავიის სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის ნაწილებს. საბჭოთა და იუგოსლაველი მებრძოლები, რომლებიც ერთად და შეთანხმებულად მოქმედებდნენ, გარს შემოერტყნენ გერმანელთა გარნიზონს ერთ დიდ დასახლებულ პუნქტში, მდინარე დუნაიზე, და გაანადგურეს იგი. სხვა უბნებზე ჩვენმა ჯარებმა, რომლებიც ბრძოლებით მიიწევენ წინ მთის გზებითა და ბილიკებით, რამდენიმე დასახლებული პუნქტი დაიკავეს. ერთი დღის ბრძოლებში მოსპობილია 1.000-მდე გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. მოწინააღმდეგეს წაართვეს 12 ქვემეხი, საომარი მასალისა და სურსათის საწყობები, ბენზინის ორი საწყობი, ტექნიკური ზეთით დატვირთული ოთხი კარჭაპი და სხვა დავლა.

იუგოსლავიის მოსახლეობა ყოველმხრივ ეხმარება ჩვენს შემტევ ჯარებს. ერთ რაიონში გერმანელებმა უკან დახევისას ააფეთქეს ხიდი მთის შუათან მდინარეზე. გლეხები, სავსეთ ინიციატივით, ნაჯახებით, ნიჩბებით, ხერხებით შეიარაღდნენ და გადასასვლელის მოწყობას შეუდგნენ. ისინი ცივ წყალში მუშაობდნენ და სამ საათში გაიყვანეს ხიდი. სხვა რაიონში გერმანელებმა ტყვიამფრქვევი და ნაღმსატყორცნი დაუშინეს ლეიტენანტ კლიკოვის ასეულს. ჩვენი მებრძოლები იძულებული გახდნენ გაწოლილიყვნენ, ამ დროს იუგოსლაველი პარტიზანთა ჯგუფი ჰიტლერელებს ზურგიდან მიეპარა და გრანატები დაუშინა მათ. ლეიტენანტ კლიკოვის ასეული იერიშზე გადავიდა და ხელჩართულ ბრძოლაში გაანადგურა გერმანელები.

იუგოსლავიის ტერიტორიაზე შესული საბჭოთა მებრძოლები ყოველ ნაბიჯზე ხედავენ გერმანელ ოკუპანტთა მხეცობის საშინელ კვალს. ფაშისტმა მტარვალებმა მრავალი ათასი სრულიად უდანაშაულო მცხოვრები გაჟლიტეს. სოფელ კობიშნიცაში ერთი ოჯახი არ არის, რომ ჰიტლერელებისგან არ დაზარალებულიყოს. გერმანელებმა მილიონ წაართვეს გლეხებს პური, მოსტაცეს ძროხები და ცხვრები, ქალაქებში ჰიტლერელებმა გაძარცვეს მაღაზიები. წაიღეს ყველა ძვირფასეულობა და ბევრი მცხოვრების პირადი ქონება. მოსახლეობა მხურვალედ მიესალმება წითელ არმიას, რომელიც გერმანელი დამპყრობლებისაგან ათავისუფლებს იუგოსლავიის ქალაქებსა და სოფლებს.

* * *

ქალაქ მარიამპოლის ჩრდილო-დასავლეთით საბჭოთა მზვერავების რაზმებმა ერთ ასეულამდე გერმანელი გაჟლიტეს. გარდა ამისა, დღის განმავლობაში ჩვენი სნაიპერების ცეცხლით მოსპობილია 48 ჰიტლერელი. სერჟანტების ესკადრილია „ნორმანდიის" მფრინავგამანადგურებელი კაპიტანი კიუფერ ჰაერში შეხვდა გერმანელთა ორ ავიაგამანადგურებელს და სწრაფად მიიტანა მათზე იერიში. მარჯვე მანევრირებით კაპიტანმა კიუფერმ მოწინააღმდეგის ორივე თვითმფრინავი ჩამოაგდო.

* * *

ქალაქ ლომჟის დასავლეთით ჩვენი მზვერავების ჯგუფი ღამით მდინარე ნარევზე გადავიდა და გერმანელთა სანგრებში შეიჭრა. მოწინააღმდეგის განლაგებაში პანიკა შეიქმნა. საბჭოთა მებრძოლებმა მოსპეს დაზგიანი ტყვიამფრქვევი, ააფეთქეს ბლინდაჟი და გაჟლიტეს 20 ჰიტლერელი. ჩვენმა მზვერავებმა ხელთ იგდეს ტყვე და უდანაკლისოდ დაბრუნდნენ თავიანთ ნაწილში.

* * *

ტერკის (დროგობიჩის ოლქის ქალაქი) სამხრეთ-აღმოსავლეთით ნ ნაწილის ქვეგანაყოფებმა დაიკავეს მოწინააღმდეგის გამაგრებული დასაყრდენი პუნქტი. მოსპობილია მტრის ერთ ასეულამდე ქვეითი ჯარი. ხელთ ვიგდეთ 22 ტყვიამფრქვევი და საომარი მასალის საწყობი. სხვა უბანზე ჩვენმა მებრძოლებმა, მარჯვე შემოვლითი მანევრის შედეგად, დაიკავეს მაღლობი, რომელიც მიდამოს დაჰყურებს. ბრძოლის ველზე დარჩა მტრის 100-ზე მეტი გვამი. ხელთ ვიგდეთ 2 ქვემეხი, 13 ტყვიამფრქვევი და სხვა დავლა. წამოყვანილია ტყვეები.

საზღვარგარეთ

საომარი მოქმედება დასავლეთ ევროპაში

ლონდონი, 4 ოქტომბერი. (საკდესი). მოკავშირეთა საექსპედიციო ძალების უმაღლესი სარდლობის შტაბის ცნობაში ნათქვამია:

მოკავშირეთა ჯარებმა, რომლებიც ანტვერპენ-ტერნჰოუტის არხიდან ჩრდილოეთისაკენ მიიწევენ, მიაღწიეს ანტვერპენის ჩრდილო-აღმოსავლეთით ბრედისაკენ მიმავალ გზაზე დაახლოებით 8 მილზე მდებარე პუნქტს. ტერნჰაუტის ჩრდილოეთით დაკავებულია ბაარლე-ნასაუ.

მოკავშირეთა ჯარები, რომლებიც აახენის ჩრდილოეთით მდებარე რაიონში უტევენ, ნელა მიიწევენ წინ. მტერი წინააღმდეგობას გვიწევს. მოკავშირეთა ჯარები მიადგნენ უბახს, რომელიც მდებარეობს სამ მილზე გეილენკირხენის სამხრეთით.

1.000-ზე მეტმა მძიმე ბომბდამშენმა დღისით ავიაგამანადგურებლების თანხლებით იერიში მიიტანა გერმანიის დაიმლერ-ბენცის ქარხანაზე, ჰაგენაუსთან, ნიურნბერგის სატანკო ქარხანაზე და აეროდრომებზე ლახენ-შპაიერდორფსა და გიბელშტადტში.

ლონდონი, 4 ოქტომბერი. (საკდესი). საომარი მოქმედების ხმელთაშუა ზღვის აუზის რეგიონზე მოქმედი მოკავშირეთა შეიარაღებული ძალების შტაბის 4 ოქტომბრის ცნობაში ნათქვამია, რომ, მიუხედავად მტრის ძლიერი წინააღმდეგობისა, მე-5 არმიის ამერიკელთა და ინგლისელთა ნაწილები განაგრძობდნენ წინსვლას მდინარე პოს ხეობისაკენ. მე-8 არმიის სექტორში ცუდი ამინდი ხელს უშლიდა დიდი ოპერაციების გაშლას.

ხმელთაშუა ზღვის აუზიდან დაახლოებით 800 თვითმფრინავმა გაფრინა მოახდინა.

მთავრობის საწინააღმდეგო და გერმანიის საწინააღმდეგო ფურცლების გავრცელება უნგრეთში

ჟენევა, 4 ოქტომბერი. (საკდესი). უნგრეთში მთავრობის საწინააღმდეგო და გერმანიის საწინააღმდეგო განწყობილების ზრდას მოწმობს უნგრეთის რადიოს ცნობა, რომელშიც ნათქვამია, რომ უკანასკნელ დღეებში ბუდაპეშტსა და პროვინციაში ვრცელდებოდა დიდძალი ფურცლები, რომლებიც „მეშფოთებას იწვევენ და ამბოხებისათვის აქეზებენ".

„ჩვენი ქვეყნის ამჟამინდელ მდგომარეობაში, —მეუბნება ისმენენ უნგრეთის რადიო, — ასეთი ფურცლების გავრცელება ყოვლადსარიდ დაუშვებელი ქმედებაა. ხელისუფლებ ენერგიულ ზომებს იღებენ ამ ფურცლების გამავრცელებლების წინააღმდეგ. ბევრი მათგანი დაპატიმრებულია, და მათ წინააღმდეგ სასამართლო გამოძიებას აწარმოებენ". ფურცლების გავრცელება, ნათქვამია ცნობაში, მიზნეული იქნება ამბოხებისათვის წაქეზებად და დამნაშავენი სიკვდილით დაისჯებიან.

ოქტომბერი 5 ხუთშაბათი

1718—დაიბადა ფრანგი ფილოსოფოსი და მწერალი დენი დიდრო (გარდ. 1784 წ.).

ნარევი

ტელეგრაფი „ბუმ-ბუმი".

პირველყოფილი ხმოვანი ტელეგრაფი ძალიან ძველ დროში იხმარებოდა და ჩამორჩენილ ტომებში დღემდე არსებობს.

1914 წლის მსოფლიო ომის დაწყების ამბავი ცენტრალური აფრიკის ტომებს შორის სამი დღის განმავლობაში გავრცელდა. ეს გადაცემულ იქნა „ბუმ-ბუმის" ტელეგრაფით. აი როგორია ეს ტელეგრაფი:

პირველი სოფლის მცხოვრებნი, სადაც ეს ამბავი მივიდა, ურტყამენ უზარმაზარ ბარაბანს. მეზობელ სოფელშიც, სადაც ეს ამბავი გაიგეს, აგრეთვე იწყებენ ბარაბნის ცემას. ამრიგად, ბარაბნების ცემით ერთი სოფლიდან მეორე სოფელში გადადიოდა ეს ამბავი.

როდესაც ნიკოლოზ პირველმა, რომელსაც ნიკოლოზ პალკინი უწოდეს, დეკაბრისტების აჯანყება ჩაახშო და მეფედ იკურთხა, მისი მეფედ კურთხევის ამბავი ისეთი ტელეგრაფით გაავრცელეს, რომელიც ძალიან წააგავდა „ბუმ-ბუმის" ტელეგრაფს: მოსკოვიდან პეტერბურგამდე ჩამწკრივებული იყვნენ ჯარისკაცები; როდესაც კურთხევა მოხდა, პირველმა ჯარისკაცმა თოფი გაისროლა, ამ ხმის გაგონებაზე ისროლა მეორე ჯარისკაცმა, ამრიგად პეტერბურგამდე სროლით იცნობეს ეს ფაქტი.

გელიოგრაფი—უძველესი დროის მზის ტელეგრაფი—ამბებს სინათლის სიგნალით გადასცემდა. ამ ტელეგრაფის ხაზზე სარკეებს დებდნენ. სარკიდან სარკამდე უშვებდნენ თანათებს. მზის თინათინებით შესაძლებელი იყო მთელი რიგი პირობითი ნიშნების გადაცემა, რითაც მთელი ფრაზები დგებოდა.

ამერიკა

ამერიკას ეწოდება იტალიელი მეზღვაურის ამერიგო ვესპუჩის სახელი (იგი დაიბადა 1451 წელს, გარდაიცვალა 1512 წ.) მან არა ერთხელ იმოგზაურა და ნამოგზაური ეს ქვეყანა. როგორც ცნობილია, ამერიკა აღმოაჩინა ქრისტეფორე კოლუმბმა, მაგრამ მთელ თავის სიცოცხლის მანძილზე მას ეგონა, რომ აღმოაჩინა ახალი ინდოეთი, ამერიგო ვესპუჩიმ პირველმა გამოთქვა აზრი იმის შესახებ, რომ კოლუმბმა აღმოაჩინა ჯერ ყველასათვის უცნობი ქვეყანა და არა ინდოეთი. მან ამ ქვეყანას „ახალი ქვეყანა" უწოდა. შემდეგში, ამერიგო ვესპუჩის პატივსაცემად მას ამერიკა უწოდეს.

ბიბლიოგრაფია

ალეკო შენგელია—„გაზაფხულის სიმღერა"

ყოველი ჭეშმარიტი საბჭოთა პატრიოტი, პირველ ყოვლისა, გრძნობს იმას, რომ იგი ძლევამოსილი ქვეყნის შვილია. მას დედის მიერ აკვანთან ნამღერ ნანასთან ერთად თანდაყოლილი აქვს სამშობლოსათვის თავგანწირვისა და სიყვარულის გრძნობა. ამას მეტყველებს პოეტ ალეკო შენგელიას ლექსიც „ჩვენს გამარჯვებას ჰქვია სტალინი".

„გამარჯვებისთვის გვშობა ქვეყანამ,
ბრძოლაში გვზარდა დიდმა არწივმა,
როცა პატარებს გვიმღერეს ნანა,
მაშინ გვამწვალეს ჩვენ თავგანწირვა".

ამ სტრიქონების აზრი ჩვენი სამშობლოს ღრმა წარსულიდან მოემართება და მომავალშიც გადადის. ასე იზრდებოდნენ ჩვენი მამა-პაპანი, ასევე უნდა აღიზარდონ მომავალი თაობებიც. ნანინას საამურ და ტკბილ ხმასთან ერთად ჩვენს გულში იქსოვებოდა სამშობლოს სიყვარული. თვით ეს სტრიქონებიც პოეტის გულში ოქრომკედით ნაქსოვი ფერებისაგან შესდგება.

პოეტს სამამულო ომში ჩვენი ქვეყნის საბოლოო გამარჯვების რწმენა ომის პირველი დღეებიდანვე ჰქონდა. 1941 წელში დაწერილ ყოველ მის ლექსში ეს მრწამსი წითელი ხაზივით არის გავლებული. ასეთია ლექსები—„უკვდავება", „დედა", „გზაში ფრონტელ ქალიშვილთან" და სხვ. ამ რწმენის საუკეთესო ილუსტრაციაა აგრეთვე ლექსი „სამშობლოსათვის".

„განა ცოტა გვინახავს
მტრის ჯარების თარეში? —
სამამულო ბრძოლაში
ბრძოლის ცეცხლით ვიწოდით,
ლომად საქართველოში,
მაკაბელის მხარეში, —
დამარცხება უნდოდათ?
გამარჯვება ვიცოდით"!..

ეს პოეტური განცდით ღრმა და ფორმით ლაღი, თავისუფალი ლექსი, არ იბოჭება არც ყურით მოთრეული რითმებით, არც ხელოვნურად ჩამოკვეთილი ნაძალადევი და მძიმე სტრიქონებით. ამ ლექსის გამარჯვების იდეური საძირკველი ჩვენი ქვეყნის ხალხთა ის სტალინური მეგობრობაა, რომელსაც მივყევართ გამარჯვების გზით.

„მივალთ!.. განა მარტო ვართ,
მარტო რუსი, ქართველი,
ყველგან ჩვენი ჯარია,
უძლეველი ლაშქარი,
ჩვენი დროშა ბრწყინვალე, —
საბჭოეთის, ნათელი,
გამარჯვების სახელით
გვამხნევებს და გვაქეზებს".

მეტად საგულისხმოა ლექსი „ჩემს სამ ძმას—სამამულო ომში მონაწილეთ". პოეტი მთელი თავისი ადამიანური, ვაჟკაცური და მოქალაქეობრივი შეგნებით უკავშირდება ფრონტზე მებრძოლ ძმებს. იგი თითქოს მათთან ერთად ურტყამს საზიზღარ მტერს: „ლექსი გამქონდეს თქვენი სახელით, გულიდან გულში ამღერებული". მაგრამ ამ ლექსის მთავარი აზრი ის არის, რომ პოეტს თავისი სამი ძმა განზოგადოებული ჰყავს. ვინც სამშობლოს იცავს, ვინც ქვეყნის დარაჯად დგას და ანადგურებს მტერს, ყველა თავის ძმად ეგულება. ამას ლაპარაკობენ უაღრესად მაღალი ხმის, მაღალი მოწოდების სტრიქონები:

„ჩვენ სიყვარულში ვართ ქებულები,
ბრძოლაშიც გამჭრის ჩვენი მარჯვენა;
მე ყველა ფრონტზე თქვენ მეგულებით,
სადაც სჭექს ვაჟა და გამარჯვება!"

განსაკუთრებული სიყვარულით მიძღვნა შეუძლო ლექსს „ანდერძს." იგი უაღრესად ლირიული განწყობილების ლექსია. სამშობლოს სიყვარული, თავგანწირვის კეთილშობილური გრძნობა ლექსს ამაღლებს და მზის წმიდა შუქსა ჰფენს. ამ ლექსში არ არის არც ერთი ზედმეტი, არამომხიბვლელი, არასათუთი სტრიქონი. ამ სტრიქონებში მოსჩანს და ისმის ბგერების ერთმანეთთან შეხმატკბილებული წყნარი, ჩუმი, მაგრამ მრავალის შემცველი ღელვა, სწორედ ისე, როგორც ზეირთებით დაფარული წყნარი ზღვა დიდი ქარიშხლის მოლოდინში.

„თუ ჩემს ზეცას, ჩემს მწვერვალებს
ცად ასროლილს,
წყვდიადი კორწილფერი ღამე მიიმდევ,
ამოეწვადო ხმალი ელვით ანაერგელი,
ვარსკვლავებით მოხატული, მოციმციმე,
თუ დავეცი ნუ მატირებთ დანანებით,
ნაღველს გულში არასოდეს გავიღებდი"...

ასკვნის „ანდერძის" უკანასკნელ სტრიქონებში პოეტი, რადგან მან იცის, რომ სამშობლოს სამსხვერპლოზე დაცემა ყოველი პატრიოტის წმიდა მოვალეობაა...

ასეთია პატარა ლექსთა კრებულის „გაზაფხულის სიმღერის" ნამდვილი სახე. როგორც ზევით ვსთქვით, ალეკო შენგელიას ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც ჩვენს ქვეყანას ვერაგულად თავდასხმულ მტრისაგან საფრთხე მოელოდა (1941-42 წლები), მტერზე გამარჯვების რწმენა ახასიათებდა. ამასვე მღეროდა მისი ლექსის ყოველი სტრიქონიც. მაგრამ ერთი დიდი ნაკლი აქვს ამ ლექსთა კრებულს. ჩვენმა სახელოვანმა წითელმა არმიამ მოჰქანცა რა მტრის ურდოები, თვით გადავიდა შეტევაზე და 1943 წლიდან დღემდე სდევნის, დამარცხებას ზედიზედ აგემებს მას. სად არის პოეტის ლექსები, რომლებიც უნდა დაეწერა მას ჩვენი გამარჯვების პერიოდში, მით უმეტეს, რომ წიგნი 1944 წელს გამოვიდა?!

უკანასკნელი წლების გამარჯვების მაღალი პათოსით უნდა დაგვირგვინებულიყო ჩვენი საყვარელი სამშობლოს საგაზაფხულო სიმღერა.

დასასრულ აქვე უნდა ითქვას, რომ გამომცემლობა „საბჭოთა მწერალმა" წიგნი გამოსცა ყოველგვარი გემოვნების გარეშე, იგი ტექნიკურად მეტად ცუდად არის გაფორმებული.

ელიზბარ პოლუმორდვინოვი.

პ/მგ. რედაქტორი ი. ლავრუხინი

პ/მგ. რედაქტორის მოადგილე
ვ. დარასელი

გ—659439

რედაქციის მისამართი: ПОЛЕВАЯ ПОЧТА 33175-С